20.05.2025

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2025 წლის აპრილი

ექსპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით 0.2 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 3.6 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 4.8 პროცენტით. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 19.8 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 2.3 პროცენტით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე 42.8 პროცენტით, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 2.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის აპრილში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2024 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**104.8**	**4.81**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავება**	**119.8**	**2.21**
07	ლითონის მადნები	120.9	2.28
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**102.3**	**2.01**
11	სასმელები	106.4	1.60
24	ძირითადი ლითონები	102.7	0.63
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**142.8**	**0.56**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**102.5**	**0.03**

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.05.2025

ექსპორტის ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge